# ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

## დადგენილება № 6-23

"18" მარტი 2016 წ.

ქ. თბილისი

**„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 21 ივლისის №3-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 21 ივლისის №3-12 დადგენილებაში (სსმ, ვებგვერდი: www.matsne.gov.ge, 22/07/2014, სარეგისტრაციო კოდი: 010260030.35.101.016011) შევიდეს შემდეგი სახის ცვლილება:

ა) მე-5 მუხლის მე-6-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. შემოწმების შემდგომ სარევიზიო კომისიის სამდივნოს თანამშრომელი ადგენს დასკვნას და დასკვნას დაურთავს აუცილებელ მასალებს.

სარევიზიო კომისიის სამდივნოს თანამშრომელი ვალდებულია შემოწმებულ ორგანიზაციას/სამსახურს (დაინტერესებულ პირს) გაცნობის მიზნით გაუგზავნოს დასკვნა და განუმარტოს რომ, ჩაბარებიდან 7 დღის (სამუშაო) ვადაში შეუძლიათ წერილობით წარმოადგინონ დასკვნასთან დაკავშირებით თავიანთი მოსაზრებები და შენიშვნები.

ბ) მე-5 მუხლის მე-7-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„7. შემოწმების შედეგად გამოვლენილი დარღვევის შემთხვევაში, სარევიზიო კომისიას (თავმჯდომარე) შეუძლია გასცეს წერილობითი რეკომენდაცია, ორგანიზაციის ხელმძღვანელის ან მისი ზემდგომის წინაშე, დისციპლინური პასუხისმგებლობის ღონისძიების გამოყენების თაობაზე.

2. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ალიბეგაშვილი

## განმარტებითი ბარათი

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებში ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სარევიზიო კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 21 ივლისის N3-12 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია საკრებულოს დადგენილების შესახებ

ა.ა) დებულებაში ცვლილების მიღების მიზეზი:

სარევიზიო კომისიის დებულებაში ცვლილების შეტანის უმთავრეს მიზეზს წარმოადგენს ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსთან, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტთან და სხვა კანონმდებლობასთან მოცემული დებულების შესაბამისობაში მოყვანა.

ა.ბ) დებულების მიღების ძირითადი არსი:

წინამდებარე დოკუმენტი სრულად ვერ ასახავდა იმ უფლება-მოვალეობებს რომელიც პირდაპირ გაწერილია ადგილობრივ თვითმართველობის კოდექსსა და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტში. წარმოდგენილი ცვლილებები უფრო მოქნილსა და ეფექტურს გახდის სარევიზიო კომისიის მუშობას, ამასთანავე უფრო ნათლად აყალიბებს კომისიის სამუშაო გეგმასა და პირობებს.

ბ) დასაბუთება:

სარევიზიო კომისიის დებულებაში შესატან ცვლილებების მთავარ მიზანს წარმოადგენს კომისიის მუშაობისათვის უფრო ხელსაყრელი და ადეკვატური პირობების შექმნა. პრაქტიკა ცხადყოფს, რომ წინამდებარე დოკუმენტი სრულად ვერ უზრუნველყოფდა სარევიზიო კომისიისა და მისი სამდივნოს მუშაობას. სარევიზიო კომისიის დებულება ხშირ შემთხვევაში იყო ორაზროვანი და არ გამოხატავდა რეალობას, აქედან გამომდინარე სარევიზიო კომისიის თავჯდომარის მხრიდან მოხდა ინიცირება შესულიყო ცვლილება დებულებაში, რომელიც უფრო ნათლად გამიჯნავდა კომისიის, კომისიის თავჯდომარისა და მისი სამდივნოს უფლება მოვალეობებს.

გ) ხარჯვითი ნაწილი:

გ.ა) წარმოდგენილი პროექტი არ იწვევს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში ხარჯვით ნაწილში ცვლილებას.

დ) პროექტის ავტორი:

დ.ა) საკრებულოს წევრი - ნუგზარ მალაღურაძე

ე) პროექტის წარმდგენი:

ე.ა) საკრებულოს წევრი - ნუგზარ მალაღურაძე